

1
1967

თბილისის მუზეუმი

ზინიჩიჩი

თბილისის
მუზეუმი



— აბა მამოკაძე. ჩვენი წილი ჰონორარი ჩამოკვეთა

№ 3 (1253) თბილისი, თებერვალი 1967

სიხე

გამოცემის 44-ე წელი

ფასი 20 კპ.



ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა პოემებისა და ლექსების პროზად გარდაქმნა. განსაკუთრებით მოუხდა ეს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ადრე პროზაულნი ყოფილან, მერე ლექსებად გარდაუქვამთ და ახლა კვლავ პროზად აქციეს, ესე იგი, თავის პირვანდელ სახეს დაუბრუნეს.

რა დასამაღია და რუსთაველიც ასე არ მოიქცა? — „ესე ამბავი სპარსული, ქართული და ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავქვი“-ო.

ახლა ვეფხისტყაოსანი კვლავ პროზად გარდავითქვეს და მადლობა ღმერთს!

ღრმად დარწმუნებული მსგავსი წამოწყების უკეთილშობილებულია, ნიანგას სურს ამ დიდებულ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

თითქმის ორმოცდათექვსმეტი წელი გვაშორებს „მესაფლავის“ შექმნის დროს, მაგრამ ცხოვრების სიბრძნით გამთბარი ეს უბერებელი ლექსი ახლაც გვსიბლავს და გვიტაცებს.

გალაკტიონ ტაბიძის ამ უკვდავი ლექსის ტექსტი, „ნიანგის“ რედაქციის დავალებით, ჩვენ პროზად გარდავთქვი. იგი მიზნად ისახავს, დაეხმაროს „მესაფლავის“ მკითხველს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობასა და ბავშვებს, მისი შინაარსის უკეთ შეთვისებაში.

მრისხიმ გალაკტიონი კუკიის სასაფლაოზე დასვენებდა. იქვე, ახლომანლო, მესაფლავეს მოჰკრა თვალი.

— გამარჯობა შენი, მესაფლავეო, — უთხრა გალაკტიონმა.

— გაგიმარჯოს შენო, — უთხრა მესაფლავემ.

— როგორაა საქმეო, — ჰკითხა გალაკტიონმა.

— რაღა როგორაა, ჩემო გალაკტიონ, ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდებაო, — უპასუხა მესაფლავემ და ირონიულად გაიღიმა.

— მაგას ვერ დაგიჯერებ, ჩემო მესაფლავე! თავი ნუ მომაბეზრებ და, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი შეწყვიტეო.

...ვარდის თვე იყო, მაისი. ნორჩ ბალახებს სიო არხევდა. ხეებს თეთრი ყვავილების გუნდი ისე აწვა, როგორც თოვლი.

უცებ გალაკტიონმა ვიდაცის საფლავეზე ობოლი და ცხარე ცრემლებით მოტირალი ქალი შეამჩნია.

— ესეც მე ვარო? — ნიშნისმოგებით უთხრა მესაფლავეს გალაკტიონმა, — შეხედე ერთი, როგორ ტირის თავის სატრფოს და როგორ შეგნის დღე და დამეცრემლის ღვრა?! მაგი არ იყო, გუშინ რომ სატრფო მიაბარა ცივ სამარეს? უყურე, თმები როგორ გაუშლია და ცრემლები როგორ სცვივა და სცვივა. აბა, ერთი დაუგდე ყურიო.

ამ დროს ქალი ხმამაღლა მოთქვამდა და თან მესაფლავისკენ იცქირებოდა, თითქმის უნდოდა ეთქვა: გაიგონე შენი დასაფსები ყურებითო.

„გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც დამის მოჩვენება,

არ მედიდოსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება,

შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,

თუ როდისმე არ მახსოვდეს, თუ როდისმე დაგივიწყო!“ და ა. შ.

— კიდევ იტყვი, ვინც კვდება ამ ქვეყანაზე, მისი ჩრდილი იმ წუთშივე გვავიწყდებაო? — ჰკითხა გალაკტიონმა ნიშნისმოგებით მესაფლავეს.

— ვიტყვი, ვიტყვი, ვიტყვიო! — გაჯიუტდა მესაფლავე.

— ამაზე რაღას იტყვიო? — ჩასდია საფლავეში გალაკტიონმა მესაფლავეს და მიუთითა მეზობლად მომგლოვარე ახალგაზრდა ვაჟზე, რომელიც, გულმოკლული, სატრფოს ასა-

მარებდა და წელან რომ ქალი ტიროდა, იმისი არ იყოს, ისიც ცრემლნარევი ხმით დასტიროდა მიცვალებულს:

„შენი სახე გულს კაწრავდეს, სადაც

ვიყო, როგორც ვიყო, თუ როდისმე არ მახსოვდეს, თუ როდისმე დაგივიწყო“-ო.

— იმას თავი დავანებოთ, ამაზე რაღას იტყვიო? — ჰკითხა გალაკტიონმა მესაფლავეს და ახლა მან გაიღიმა ირონიულად.

— აგერ ვართ, ბატონო, ჩვენ და აგერაა აგი მკვდრები! ცოტა ხანს აცალე და ნახავ, მაგ ქალმა და კაცმა რა ქნანო, — არ მოიშალა მესაფლავემ.

— რა უნდა ქნან, ბიჭო? ვერ ხედავ, საფლავეში მიყვებიან თავთავიანთ მკვდრებსო! — ეწყინა გალაკტიონს.

— მე რას მეჩხუბები, ბატონო! შენი პატიოსანი თვალით ნახავ, რაც მოხდებაო, — უთხრა მესაფლავემ.

ისე ყველაფერი ნატვრა აგისრულდათ, ახალგაზრდებო და ბავშვებო, როგორც ის ნატვრა მესაფლავეს აუსრულდა: საიდან იყო და საიდან არა, უცებ, ვაჟმა ქალს მოჰკრა თვალი. არც ქალს გამომარჯვია ვაჟის მხურა.

— აგი არაა ხელიდან გასაშვები ქალიო, — იფიქრა ვაჟმა, გაიხედ-გამოიხედა, ვინმე არ მიყურებდესო, მერე მივიდა იმ ქვრივ ქალთან და წასჩურჩულა:

შემიყვარდი, შემიყვარდიო.

„დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, საცალალო

და ახალი შევქმნათ ყოფნა...“

გამომყევი, ცოლად ქალო“-ო.

— ე, რა გითხარი მე შენო? — გაუხარდა მესაფლავეს.

— მაგი უზრდელი იყოს, რა ჩემი ბრალა! ნახე, ქალმა სულ ხულიგანი თუ არ უძახოსო! — არ გაიტეხა ისტინარი გალაკტიონმა და ქალის პასუხის მოლოდინში გაინაბა.

— კი, გენაცვალე, რატომაც არა!

„ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ

ვიგონებთ დროს უბედურს,

მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე,

სადაც გსურს“-ო — უპასუხა ქალმა.

— ცატი მომეცი წაგებული ხარ, ბიძიაო, — წამოიძახა მესაფლავემ და გალაკტიონს ხელი გაუწოდა.

— შენი ყოფილა, ბიძიკო, ქვეყანა! მოგებული ხარ, აწი შენთან დამნიძლავებლის დედაც ვატირე, ჩემდა თავად! დიდი ბოდიში, დიდი ბოდიშიო. — თქვა წაგებულმა გალაკტიონმა, მერე, — ვაი, თქვენს პატრონს, უბედურსო, — მიაძახა გადახვეულ შეყვარებულებს, დაიხურა ქუდი და ჩქარი ნაბიჯით მიატოვა კუკიის სასაფლაო.

შემდეგ სიუჟეტი ისე ვითარდება, როგორც ლექსშია. ახალგაზრდებო და ბავშვებო! წაიკითხეთ და თქვენ თვითონ ნახათ.

სულ მალე სხვა ლექსებსაც მოგაწვდით გადამოთხრობულებულებს და, აბა, თქვენ იცით! სწავლა თქვენზე იყოს და ლექსების გაპროზავება — ჩვენზე.

— მოვრიგდით? აგაშენათ ღმერთმა!

გაგანაგანა

ჩა-ჩა

(ტიციანისებურად)

ფულანგა... მივდივარ და მივიმდერი,
თან სახელმწიფოს მიმაქვს თანხები...
თავსაყრელად მაქვს ყველაფერი —
„ვოლგა“, ქონება და ოთახები.

მე არ ვჭრი ფულებს. ფულები მჭრიან
თვალებს და ვეღარ ვუძლებ ცთუნებას;
ფულს მე ვუწოდებ უგრილეს ნიაგს —
ამ სქელ შუბლზე რომ მესალბუნება.

მე დავიბადე ნაკიან თვეში, —
მდიდარი მამის სქელი ჯიბიდან...
ას-ასიანებს ვაძლევდი დღეში
და სამი შვილი გამიჯიბიდა.

ათასი შტატი რომ მქონდეს კიდეც,
სულ ნათესავებს დავურიგებდი.
რა მენადვლება, — ყოველდღე იდგეს
ჩემს კაბინეტთან გრძელი რიგები.

აქედან ვიცი, მე რომ მომხსნიან,
(გადამეტერა ზოგი კაცია...)
ვით შევურიგდე ციხეს ოცწლიანს,
ანდა ქონების კონფისკაციას.

არ მიჩერდება გული საგულეს,
ვეღარ მშველიან, მგონი, ფულებიც!
თუკი პირობით სასჯელს მარგუნებთ,
არც ამისათვის დაგემდურებით.

იტყვიან ჩემზე: „ფეხზე ეკიდა
თანამშრომელთა შრომა და ნიჭი
და, დაჭერამდე, კაბინეტიდან
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.“

ავიწროვდა მას უსაშველოდ,
ხან სასამართლო, ხან მილიცია;
გამფლანგველობით გააქონდა ლელო
და საკადრისი ბოლოც იწვინა.“

დახურულია სამსჯავროს კარი
და სასამართლო მიდის პროცესი...
შუბლზე გადამდის მე ოფლის ღვარი,
დავატარავდი კაცი ორ დღეში.

ერთ საწყალ მუშაკს, ამაზე მეტი,
კოდექსით აღარ მომეთხოვება.
არ მომისაჯოთ წელი ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხოვნება!

გათუ მელია.



— ხომ ბითხარი, სამტრედიოში არ გათხოვდ, თორემ იქაურ ქათმებზე დიდი
პოროვნელობაა და ისევ დაჰკრინდები-მეთქი?!

ეგოისტზე ეგოისტი

— მი კი უწყინარი ვინმე მეგონა, — თქვა ღირეჭტორმა.
საამქროს უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია თავი.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ გამოაჩინა ეშვები!

— უბირო კაცი ყოფილა.

— გაუტანელი!

— აბა, ერთხელ კიდეც წაიკითხე?!

საამქროს უფროსმა სათვალე გაიკეთა და ღირეჭტორის სახელზე დაწერილი განცხადების კითხვას
მეუღლა.

„ოცე წელია თქვენდამი რწმუნებულ ქარხანაში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა წელი-
წადი, რომ მე ზაფხულის პერიოდში ამეღოს შვებულება. მუდამ ზამთარში, ადრეულ გაზაფხულზე ან გვიან
შემოდგომაზე ვისვენებ. არ ვიცი, რა არის ზღვა. მზით დამწვარი სახეების დანახვაზე გული მეწვის. ცოლ-
შვილთან ერთად დასვენება ოცნებად მაქვს გადაქცეული. მეტის ატანა აღარ შემიძლია. გთხოვთ ამ წლის
კუთვნილი შვებულება პირველი აგვისტოდან გამიფორმდეს!“

— მოლაღატე! — წამოიძახა აღშფოთებულმა ღირეჭტორმა.

— ზურგში დანის ჩაყვას გვიპირებს, — კვერი დაუკრა საამქროს უფროსმა. — მოგესხენებათ, რო-
გორ ჭირს ჩვენთან გეგმის შესრულებას ზაფხულის თვეებში. ამიტომ შვებულებაში ისეთ სალხს ვუშვებთ,
რომლებიც გრილ ამინდშია არ იკლავენ თავს მუშაობით. დაზგებთან მსოლოდ შრომისმოყვარე და გამრჯე
მუშები რჩებიან. თითოეული მათგანი სამი-ოთხი კაცის ნორმას ასრულებს. საამქროებსაც შველიან და მთელ
ქარხანასაც. ამ განცხადების ავტორი პირველია მათ შორის. ძალზე მოხატრებული კაცია. როცა ხედავს,
უმრავლესობა წასულია, თვითონ ვეღარ ბედავს შვებულების მოთხოვნას და მთელი ზაფხული ხარივით მუ-
შაობს. არ ვიცი, ახლა რა ბუზანკალი შეუჯდა. უარი რომ ვუთხრათ, ვაითუ გაგვიბრაზდეს და სულ მიატო-
ვოს ქარხანა...

— რამდენი დღე წაუწერე?

— ოცდაოთხი.

— აბა-აბა-ა! ვინმე ცუდლუტი რომ იყოს, კიდეც პო! მაგას კი თორმეტ დღეზე მეტს ვერ მივცემ, სა-
ხელმწიფო გეგმის შესრულების საქმე ისედაც ბევრზე აკიდა. ახლა კი ანაზადება უკან ლაბრუნია ოა სხვა
დაწვინე. ასეთი დოკუმენტი საქმეში — დაყოვნებული მოქმედების ბოშია. ვინმე რომ წაიკითხოს, და-
ვიღუპებით... მე კი მამა აბრამის ბატკანი მეგონა...

— მეც ასე მეგონა.

— ვერაგი კაცი ყოფილა.

— ეგოისტზე ეგოისტი!


გურამ ზარაშვიდი



საქართველოს გადაარსების 100-ე წლისადმი



— ჩვენ გაპურიანში მივლივართ, უნა ან ისრიალი!



- სამსახურში მოწყობისთვის დირექტორმა ფული მითხოვა.
- დიპლომი არ მინდაო?
- დიპლომი კადრების განყოფილების უფროსს მიუბრუნო.

ნახ. ნ. მაღალაშვილის



- რას ეძებ ამ გურბუშელში? დეტალი დაკარგე!
- არა, შემირღი დაგეგმე.

ამისრულდა დიდი ხნის ნანატრი ოცნება: კაცი მიჰქონდა წყალს. ხიდის მოაჯირს მიაწყდა ხალხი. არ იყო გამორიცხული, რომ მათ შორის ერია ჟურნალისტიც.

ასე შეიძლება იქცე გმირად. წყალწალღებულს გადავხედე — არსენად მიჰქონდა მტკვარს, უმწოდო იქნებოდა ხელებს, მაგრამ არ იძირებოდა, რატომღაც არ იძირებოდა...

ცივი მტკვარი გამახსენდა. ცივად გამაჟრჟოლა. უფრო ცივად გამაჟრჟოლა, ქამარი რომ შევისხენი: საცვალის გამახსენდა, რომელსაც სახელის გარდა, აღარაფერი შერჩენოდა მთელი...

...იმიტომ ტანსაცმლიანად გადავშეა წყალში წყალწალღებულის გადასარჩენად. — რამდენჯერ წამიკითხავს. ასლა მივხვდი, რატომ წერენ ასე გაზეთებში. შარვალი შევიკარი, ხალხი გავაპე და ვერის ხიდიდან ტანსაცმლიანად გადავვფი მტკვარში. ხიდიდან, სანაპიროებიდან, სახლებიდან ხალხი გადმოცვენაზე იყო და თვალეზი გადმოცვენაზე ჰქონდათ. სანამ მსხვერპლს მივწვდებოდი, არ დაგიმალავთ და, ცოტა მაყურებელსაც გაუწიე ანგარიში — ცურვის კლასი ვარჩენე: ჯერ ბატერფლაი, მერე კროლი... მერე კი საქმე — მხარულითა და ბაყაყურით წამოვეწიე წყალწალღებულს და რაც შემეძლო, მძლავრად ამოვკარი მხარი.

— ცოტა ნელა, ჩვენი ძმა! — გაუწილი მთვრალი იყო. ისევ მძლავრად ვუბიძგე ნაპირისკენ.

— გიჟია, ოხერი! — შემომიბღვირა. ყურადღება არ მიმიქცევია. ასლა წიხლიც ვუთავაზე, რაც შემეძლო, მაგრამ ამოვკარი ჭიტლაყი.

— ვა! მე ვიხრჩობი, ესა მკლავს! მიშველევეთ! როგორც იქნა, გავათრე ნაპირზე. მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩნდა. ხალხის ალყაში მოვეჭექი. ყველა მილოცავდა, ახალგაზრდები კი შურით შემომცქეროდნენ.

„ჩაო, ჩაო“, — ფფიქრობდი გუნებაში, ნოკაუტში ჩავდებულ სერიისმოყვარულს გამარჯვებულ მოკრივესავეთ ვუქნევი მარჯვენა ხელს. იღბალი უნდა კაცს, ყველას როდი გაუღიმებს ასე ბედი!

— „ვინ ხართ? სად სწავლობთ? რამდენი შვილი ჰყავს, თქვენს გარდა, მამათქვენს? ნეტავი შენს ღედას!“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— სელი ზომ არაგის უკრავს? — მაინც წამოცდა ვიღაცას. ძლივს მოგვაცილეს ცნობისმოყვარეები და ორივეს მანქანაში გვიკრეს თავი.

— მეღალი „წყალწალღებულთა გადარჩენისთვის“ ნაღდი მაქვს! — ფფიქრობ გუნებაში.

წყალწალღებული სველი სარეცხივით ჩამომეკიდა კისერზე და აზლუქუნდა. პატივისცემა ჩემზე იყოსო...

სასწრაფო დახმარების მანქანის გამოჩენაზე მთელი ეზო გამოფინა გარეთ. კაცი, რომელსაც სიცოცხლე ვარუქე, ნაჩუქარი ძაღლივით მომეხვია მუხლებზე და ძლივს გამომწიწკნეს ხელიდან. პოლოს მეზობლებმა, როგორც იქნა, გადმოიღეს მანქანიდან. პატარა სარკმლიდან ვუთვალთვალედი ამ სურათს და გული სიამაყით მეფხებოდა.

მთელმა ეზომ შეიცვალა მისი გამოჩენა. წკავწკავითა და წივილ-კივილით გამოეგებნენ ბავშვები. ქმრის დანახვაზე ცოლს გულზე შემოეყარა. გონზე რომ მოვიდა, კივილით შეძრა ქუჩა: მაჩვენეთ, ვინ გადაარჩინაო!


თავმდაბლურად გადმოვედი მანქანიდან და წყალწალღებულის ცოლს ღიმილით შევეგებე. უეცრად გაიღვა იატაკაწმენდმა ჯოხმა და... მერე არაფერი მახსოვს.

იმავე სასწრაფო დახმარებით სასწრაფოდ გამაქანეს სასწრაფოში, აუტკივარ თავზე დამადეს ცივი ტილო და ცოტა მოესულიერდი.

— გამოუსწორებელი ლოთი და ხულიგანი ყოფილა! — ხმადაბლა მიყვება ექთანის ქალი, — ძველი ინტრიგანი, ანონიმისტი... სამი ცოლ-შვილი მიუტოვებია, ალიმენტს არ იხდის, მეოთხე ცოლის ყოფილი პროფესორი ქმრის ალიმენტით ირჩენს თვითონაც თავს... მეოთხე ცოლი სწორედ ის გახლავთ, თქვენ რომ...

ისმის კითხვა: რატომ არ იძირებოდა ის კაცი წყალში? რა მეგუთვნის მე ასეთი წყალწალღებულის გადარჩენისთვის?

გაიოზ დაუნიაინი



ვკრთნა ღაიწყო

ქვემოთა
გვერდითა



რკინა-კაპეშულის მაღაზიის ეზოში ჟრია-
მულია. ბოცები იყიდება. მგონი, მთელი
თბილისის ღვინის მწურავები არიან აქ.
მეც შევერიე მყიდველებს და, როგორც იქ-
ნა, დავითრეე ორი ბოცა. მეტს ვიყიდდი,
მაგრამ...

ბოცა ოცდაათლიტრიანია. ორი ბოცა—
სამოცი ლიტრა ღვინო... სამოცი ლიტრა
არაყი... გამოვედი გახარებული. ორი ბო-
ცა მიჭირავს, მოვდივარ და მომაქვს 60
ლიტრა არაყი, 60 ლიტრა ღვინო.

— სად იყიდეთ ბოცები?
— აი, ცოტა ზემოთ, ეზოში ყიდიან!—
ვუპასუხე ღიმილით.

— არის კიდევ?
— როგორ არა!

...მივალ სახლში, ცოლს გაუხარდება.
მთაწმინდაზე ვცხოვრობ, ზაფხულობით
წყალი არ ამოდის ხოლმე...

— სად იყიდეთ ბოცები?
— ზემოთ, მაღაზიაში. ეზოში ყიდიან.
— არის კიდევ?
— კი, ბევრია.

...ჰოდა, იმას ვამბობდი, — ზაფხულო-
ბით-მეთქი ჩავასხამთ წყალს და გვექნება
სახმარად.

— სად იყიდეთ ბოცები?
— ზემოთ მაღაზიაა, ოღონდ, ეზოდან
იყიდება.

— ბევრია?
— მიუსწრებთ.

აბა, ერთი ტაქსი, თორემ ცუდადაა სა-
ქმე.

ნაბიჯს ავუჩქარე. ძლივს გადავედი, ზო-
ოპარკის წინ რომ გადასასვლელია. ერთმა
შოფერმა მანქანიდანაც კი გადმომახსა:

— ბიძაგ, სად იყიდე ბოცები?

სანამ ავუხსენი, ის უკვე „ჩაიგრუზიას-
თან“ იყო.

როგორც იქნა, გადავედი. დავდექი ტაქ-
სების გაჩერებასთან, მაგრამ გაგიგონია? —
სად არის ტაქსი!

— სად იყიდეთ ბოცები?

— მაიცა, მაიცა! ბოცები დავდგა, —
ვუპასუხე.

ამასობაში ერთი ათიოდე კაცი მოგრო-
ვდა.

— ბოცები იყიდება ზემოთ, რკინა-კა-
პეშულის მაღაზიაში. ბევრია, ოღონდ ეზო-
დან ყიდიან.

ესეც ასე! ათიოდე კაცი გავისტუმრე.

— არიქა, ტაქსი, ტაქსი!

გაჩერდა. მადლობა ღმერთს! ჩავჯექი,
გადავჩრი.

— მთაწმინდაზე! — ვუთხარი შოფერს.

— ეგ რა კარგი ბოცები გიყიდა, სად
იყო, ბიძია?!

— აქვე, ზემოთ, მაღაზიაში.

წავედით და ისევ იმ რკინა-კაპეშულის
მაღაზიის წინ არ ამოვყავი თავი?

— ერთი წუთით, ბიძაჯან, მეც ვიყიდი
და მერე აგიყვან მთაწმინდაზე.

რას ეტყვი?! ვზივარ და ვუხურობ მრი-
ცხველს, ორშაურიანებს ელვის სისწრაფით
რომ ახვავებს. ბევრი ვუცადე თუ ცოტა,
ძველი ფულით 7 მანეთისა ვუცადე.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა მძღო-
ლი, გააღო მანქანის საბარგული, ჩააწყო
შიგ ბოცები და, მადლობა ღმერთს, მთა-
წმინდისკენ ვქენით პირი.

ჩემს სახლამდე მანქანით მისვლა ნაწვი-
მარზე შეუძლებელია. მისასვლელამდე გავ-
ჩერდით.

— ბუქსაობს, აი! ვეღარ ავალ, ბიძა-
ჩემო!

— ვერ ასვალ, მაგრამ მრიცხველზე იმ-
დენი წერიო, მაგდენი ჯიბეში არა მაქვს,
ერთი წუთით მომიცადე, ავალ, აქვე ვცხოვ-
რობ, ფულს ჩამოვიტან.

— შე კაი კაცო, ამდენი დრო სადა
მაქვს! იცით, რა ვქნათ? მოდი, ეგ ერთი
ბოცა მომე და რასჩოტ!

— ეეე! კაი უნამუსო ყოფილხარ! — ეს,
რა თქმა უნდა, გუნებაში გავიფიქრე, ისე
კი დავთანხმდი. ჯანდაბას, მე და ჩემს
ცოლს 30 ლიტრა წყალიც გვეყოფა-მეთქი.
დავუტოვე იმ უნამუსოს ერთი ბოცა და ავ-
ყევი აღმართს, სახლამდე ოციოდე ნაბიჯი-
და მქონდა დარჩენილი, ფეხი დამიცურდა
და წავებარბადი, თავი კი შევიკავე, მაგრამ
ბოცა ხეს მოხვდა და ხელში ბოცის მხო-
ლოდ ყელიდა შემჩრა...

— აფსუს, ძია სანდრო! რა ბოცა გავი-
ტყდა, სად იყიდე? — მკითხა მეზობლის
ბიჭმა.

— მე რისი მყიდველი ვარ, ბიძია! ტაქ-
სის შოფერს ხურდა არ ჰქონდა და იმაში
გამოვართვი. — ვუპასუხე მეზობლის ბიჭს
და ბოცის ყელი სარს ჩამოვაცვი.

ოთარ თურაძე.

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმაბაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მბ. მდივანი), ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღაზონია, ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მრედაქტი). ნ. შვილიძე, ო. ჭილიძე. საბირისა და იუბორის ჟურნალი „ნინაზი“

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нинанги“. საქ. კვ. ცენტრალური
კომიტეტის გამოცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 27/1 1967 წ. ქალ. ზომა 70×108¹/₈ 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 0,5
პირობით ფორმატა რაოდ. 1. საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შპპ. № 204, უი 01939 ბირაჟი 64.000

ლოჯმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სამხრეთ ვიეტნამში, პრეზიდენტ ჯონსონს გააცნო ავიაკური ომის ყველა ასპექტი და ილაპარაკა პარტიზანებთან ბრძოლის განსაკუთრებულ სიძნელეებზე.

მედიკალი
გზაობით

ლოჯს ვიეტნამი მიაჩნდა ლოჯიად,
ეგონა, დაუფენდენ ფეხვეუ ფინანსებს,
მაგრამ გააზრდეს ჯონსონის გოზია;
ხედავთ, უილაჯოდ როგორ მიაღწევს?

